

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური ოფისის მისამართი

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულებების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდა მთიან რაიონებში - 15-20, მაღალ მთაში - 8-13 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 14 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 765 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიკოსი N102

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მთავრობის ადმინისტრაციაში, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს კარლ შარცელს ევროკომისიის კითხვარის მეორე ნაწილი გადასცა, რომელიც ქვეყანაში განსაზღვრულ ვადაზე ადრე შეეგნა. «საიამოვნებთ წარმოგიდგინებ კითხვარის პასუხებს. შეგსება დავასრულებ, ჯამში 7 წიგნი გამოვიდა და საიამოვნებთ გადმოცემთ მათ. მოუთმენლად გვლით ევროკომისიისა და წევრი სახელმწიფოების გადაწყვეტილების გაგებას», - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოს მთავრობამ ქვეყანაში მწვანე, განახლებადი ენერჯის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი დაამტკიცა... მათ შორის შპს, ქარის და ჰიდროელექტროსადგურების პროექტები. პროექტების დადგენილი სიმძლავრე 150 მგვტ, ხოლო ჯამური საინვესტიციო ღირებულება, დაახლოებით, 200 მილიონი აშშ დოლარია. გადაწყვეტილება მინისტრთა კაბინეტმა მთავრობის სხდომაზე მიიღო.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მიწვევით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიშვილი ISIS-ის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის მინისტრიალში მონაწილეობს. ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი სიტყვით მიმართავს მინისტრიალის მონაწილეებს, ასევე გამართავს ორმხრივ შეხვედრებს კოლეგა მინისტრებთან.

«ლელო» სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიმართავს, დაიწყო პანდემიასთან ბრძოლის პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული მონიტორინგის, მონიტორინგისა და ეფექტიანობის შემოწმება, ასევე ითხოვს გამოაქვეყნოს საჯარო ანგარიში იმის თაობაზე, თუ როგორ დაიხარჯა მოქალაქეების ფული. «ქართული ოცნებისგან» ისმოდა მხოლოდ ტყუილები, რომ ყველაფერი რიგზე იყო. ორი წლის შემდეგ, თავად «ოცნების» ახალმა მინისტრმა აღიარა, რომ ეს იყო ტყუილი და კოვიდის მართვაში და ფინანსების ხარჯვაში არის სერიოზული პრობლემები», - აცხადებს «ლელოს» დეპუტატი ანა ნაცვლიშვილი.

პარლამენტში მინისტრის საათის ფორმატში გუშინ ჩანდაცვის მინისტრ ზურაბ აზარაშვილს მოუსმინეს. ჩანდაცვის მინისტრმა გაწეული მუშაობის ანგარიში წარადგინა, რის შემდეგაც დეპუტატების კითხვებს უპასუხა.

მომზადდა ია შველიძემ

გილოცავთ საქართველოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ნილსკოდოვილობის დღეს!

სახნავ-სათესი მიწების უსასყიდლო დამუშავება ბრძელდება

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელშეწყობით, აჭარაში სოფლის მეურნეობაში ჩართული ფერმერებისთვის, რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტში, სასოფლო-სამეურნეო ფართობების უსასყიდლო დამუშავება გრძელდება. ამ პროცესში ჩართულია ტექნიკა და სამუშაოები აგროვადების შესაბამისად ხორციელდება.

წელს, პროგრამის ფარგლებში, სულ 2100 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი დამუშავდება. დღეს მდგომარეობით, უკვე დამუშავებულია 850 ჰა მიწის ფართობი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე სოფლის მეურნეობის მინისტრთან გიორგი სურმანიძესთან ერთად გაეცნო.

- სამუშაოებში ჩართულია ტექნიკა, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ განსაზღვრული აგროვადების შესაბამისად დაიხსნას და დამუშავდეს მიწის ნაკვეთები. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი ადგილობრივი ფერმერებისათვის. ისინი შეძლებენ თესვის სამუშაოების



დროულად განხორციელებას, მოსავლის მიღებას. შესაბამისად, ამ პროექტს ადგილობრივი სოფლის მეურნეობისათვის გააჩნია ძალიან დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა, - განაცხადა გიორგი სურმანიძემ.

ელენე საყვარელიძე

შეხვედრა - მოსახლეობის პრობლემების მოსაგვარებლად

ოთარ ცინცაძემ 599 85 21 14

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივის საპასუხოდ, მოსახლეობასთან შეხვედრები, მათი წინადადებების მოსმენა, პრობლემების გაზიარება გრძელდება. ამჯერად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე, შუახვევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძე, საკრებულოს ფრაქცია «ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს» თავმჯდომარე ემზარ აბაშიძე, მუნიციპალიტეტის სხვა სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად სოფელ ჯაბნძეებისა და ქიძინძეების მოსახლეობის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შუახვევი ჯაბნძეები იმ სოფლებს შორისაა, სადაც ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა. რამდენიმე დღის წინ გაიხსნა საბავშვო ბაღი. მთავრდება სოფლის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები. ბეტონის საფარი იგება სოფელში მისასვლელ საავტომობილო გზაზე. შეხვედრაზე ჯემალ, მამუკა ზოსიძეებმა, ლევან მუკუტაძემ შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო წყლის სისტემაზე, სოფლის საჯარო სკოლაში ექთნის შტატზე, სამშენებლო მასალებსა და შემოსილების დროულ გაქვამზე გაამახვილეს ყურადღება.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა ხელისუფლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის შეხვედრა სოფელ ქიძინძეებში. აქ რამდენიმე დღის წინ სოფლის ხელმძღვანელობა რუსლან ბათაძეს ანდეს. მას

ამ თანამდებობაზე დანიშნა საჯაროდ მიულოცეს. ქიძინძეებლებმა მანანა, რევაზ, შალვა გოგტიძეებმა, თემურ, სულთან აბაშიძეებმა შუახვევის ცენტრში ისეთი აფთიაქის გახსნა მოითხოვეს, რომელიც გაიფრთხილ მუნიციპალიტეტს შესაფერის მომსახურებებს. მათ პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ექიმების უფლებების გაზრდაზეც გაამახვილეს ყურადღება. შეხვედრების დასრულების შემდეგ «აჭარამ» კომენტარი ნინო ნიჟარაძესა და ომარ ტაკიძეს სთხოვა.

ნინო ნიჟარაძე: - მოსახლეობას ხშირად ვხვდებით და გამოიკვთა, რომ ყველა სფეროშია პრობლემები. რაც შეეხება ჯანდაცვასა და სოციალურ სფეროს, მოსახლეობა სამედიცინო მომსახურებაში თანაგადახდას ითხოვს. მედიკამენტების ფასებთან დაკავშირებით გლობალური პრობლემა გადაიჭრა, მაგრამ არსებობს ქრონიკული დაავადებების სახელმწიფო პროგრამა, რომლის ლიმიტის ამოწურვის შემდეგ პაციენტებს გარკვეული პრობლემები აქვთ. მრავალი საკითხი სამუშაო ვითარებაში გადაწყვეტილია. რიგი პრობლემების გადაჭრა მომავალში ადგილობრივ და რეგიონულ ბიუჯეტში აისახება. ჯაბნძეებში სკოლაში ექთნის შტატის დამატებას ითხოვენ. მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მიიღებს. ისე, სამედიცინო პერსონალის გაზრდა ჩვენთვის მისასალმებელია. სოფლად აჭარაში თემის სამედიცინო პუნქტები მოქმედებს. აქ პირველად სამედიცინო დახმარებას უწევს მოსახლეობას.

ომარ ტაკიძე: - აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივით, მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება. ორ სოფელში შეხვედრები დავასრულეთ. პრობლემები გამოიკვთა. მათზე უახლოეს პერიოდში სათანადო რეაგირება იქნება.





რეგიონი ტურისტული სეზონისთვის ემზადება

ხატია იაშვილი 555 18 48 88

აჭარაში ტურისტული სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა

ლონისძეებზე, რომელსაც აჭარის მთავრობის თავმჯდომარე დაესწრო, ტურიზმის კუთხით რეგიონში მიმდინარე პროექტებზე, განხილულ ტურისტულ პროდუქტებსა და ტურისტული სეზონის მოლოდინზე ისაუბრეს. თორნიკე რიჟვაძემ აჭარაში ტურიზმის განვითარებაზე, მის მზარდ დინამიკაზე, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე გაამახვილა ყურადღება. რეგიონის პირველი პირი წელს ტურისტული სეზონის მნიშვნელოვან გამოცდვას ვარაუდობს. „პირველი კვარტალის მონაცემებით, 2019 წელთან შედარებით, ვიზიტორთა ნაკადები აღდგენილია 50 პროცენტით და ბოლო 3 თვის მაჩვენებლით, ბათუმის აეროპორტში გვაქვს 30-პროცენტით ზრდა 2019 წელთან შედარებით. ასევე, წელს პირველად დაინიშნა შესაბამისი ავიაჩარტერის ბათუმ-რიგის მიმართულებით, რომელიც მეტად გაამყარებს ჩვენი რეგიონის პოზიციებს ბალტიისპირეთის ქვეყნებში. 16 სამიზნე ქვეყანაში ხორციელდება შესაბამისი მარკეტინგული მუშაობა ტურისტების მოსაზიდად და წელს, დარწმუნებული ვარ,



ტურიზმის სექტორისთვის იქნება წარმატებული სეზონი“, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ შესაბამისი უწყებებს მომდევნო სამი კვირის განმავლობაში, ტურისტული სეზონის ოფიციალურად გახსნამდე, საგანგებო რეჟიმში მუშაობა დაავალა.

„მინდა, დავავალო შესაბამისი უწყებებს, როგორც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, ასევე, ტურიზმის დეპარტამენტს, პირველ რიგში, ბათუმის ბულვარის ხელმძღვანელებს, რომ როგორც ინფრასტრუქტურის, ისე სერვისების ნაწილში, შემდეგი 3 კვირა იყოს საგანგებო რეჟიმში მუშაობის პერიოდი, რათა სეზონის ოფიციალური გახსნა იყოს მაქსიმალურად მომზადებული. ამავე დროს, ჩვენთვის კარგადაა გასაგებები, რომ გარდა შესაბამისი უწყებებისა, მნიშვნელოვანია შესაბამისი კონტრაქტორი, შემსრულებელი კომპანიების მზაობა“, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

აღსანიშნავია, რომ მისში ბათუმში 9 ქვეყნიდან 250-ზე მეტი ფრენა დაგეგმილი, მათ შორის არის ერთი ახალი ევროპული - რიგა-ბათუმის მიმართულებით.

პარლამენტისა და უმაღლესი საბჭოს კომიტეტებს შორის თანამშრომლობის ბასტრუქცია

საქართველოს პარლამენტის განმარტების დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე, კომიტეტის წევრებთან და კომიტეტის აპარატის წარმომადგენლებთან ერთად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განმარტების დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძეს, კომიტეტის წევრებს და აპარატის თანამშრომლებს შეხვდა. ინფორმაცია ამის შესახებ პარლამენტის ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა. როგორც მასში აღნიშნულია, დიმიტრი ხუნდაძემ კომიტეტის საქმიანობა გააცნო და იმ აქტივობებზე ისაუბრა,

რომლებსაც კომიტეტის წევრები, აპარატის თანამშრომლების მონაწილეობით, ამჟამად ახორციელებენ. საუბარი შეეხო როგორც საკანონმდებლო, ასევე სახელმწიფოებრივი კუთხით განხორციელებულ საქმიანობას, მათ შორის, თემატურ მოკვლევებს, ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლს და სხვა. „აღვსენ ჩვენს კომიტეტს ეწვივნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განმარტების დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრები, აპარატის წევრებთან ერთად, რათა აქ, ადგილზე გაცნობოდნენ ჩვენი კომიტეტის საქმიანობას. მსგავსი შეხვედრები, გამოცდილების ურთიერ-

თგაზიარებისთვის, თავისთავად, მნიშვნელოვანი პროცესია. შევთანხმდით, რომ გვექნება უფრო აქტიური თანამშრომლობა. ამ ეტაპზე, დავგეგმეთ, რომ კომიტეტთან არსებული სოციალურ საკითხთა მრჩეველთა საბჭოში აჭარის შესაბამისი კომიტეტის ხელმძღვანელი იქნება ჩართული. ასევე, შევთანხმდით, რომ ჩვენი კომიტეტი თემატური მოკვლევების გამოცდილებას გაუზიარებს მათ, ისინი კი ადგილზე შესაბამისი აქტივობებს განახორციელებენ. ვფიქრობ, ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა იქნება ურთიერთსარგებლო და ნაყოფის მომტანი ორივე მხარისთვის“, - განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.



შეხვედრას ესწრებოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე, კომიტეტის წევრები და აპარატის წარმომადგენლები.

ია შველიძე

მადლოზა საქართველოს, მადლოზა ქართველ ხალხს - უკრაინელების მსვლელოზა ბათუმის ქუჩაში

ნანა ააშვილი 577 20 35 90

ბათუმში მცხოვრებმა უკრაინელებმა, ჩვენს ქალაქში მცხოვრებნი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებთან ერთად, ქართველებისადმი მადლიერების გამოხატვის მიზნით, ყველა იმ დაწესებულების შენობის კარზე, ვინც უკრაინის მოსახლეობას ომის დაწყების დღიდან გვერდში უდგას და სხვადასხვა საშუალებებით ეხმარება, მადლობის ე.წ. სტიკერები გააკრეს. აღნიშნულის მიზანია, ფართო საზოგადოებამ იცოდეს მათი სახელები, ვინც არ დაიშურა ძალისხმევა, რომ თითოეულ უკრაინ-

უჭერდა მხარს. გადაწყვეტილი მოვიხსნა უფრო მეტი აფთაქი, რომელიც უფასოდ გასცემდა მედიკამენტებს, ყველა რესტორანი, რომელიც ლტოლვილებს უფასოდ კვებავდა, ყველა სასტუმრო, რომელიც უკრაინელებს უფასოდ იტევდა, საქართველოს ფოსტას, რომელიც ამანათებს უფასოდ აგზავნიდა, დაწესებულებებს, რომლებმაც თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენს მხარდაჭერაში. გვინდა, პირადად მადლოზა გადავუხადოთ ამ კომპანიების თანამშრომლებს და კარებზე მადლობის სტიკერი მივაკრათ, რათა ყველა გამგებმა დაინახოს, რამდენი ადამიანი გაერთიანდა სიკეთის საკეთებლად, სიბნელის დასაძლევად უკრაინაში.



ელს ამ მძიმე პერიოდში მხარდაჭერა და სიყვარული ეგრძნო, ვინც მათ მეგობრობის ხელი გაუწოდა. „ჩვენ ძალიან მადლობელი ვართ საქართველოში არსებული ყველა ბოხნესის, ვინც უკრაინასა და უკრაინელებს ომის პირველივე დღეებიდან

მადლობის სტიკერების გაკრის შემდეგ, მონაწილეები ევროპის მოედანზე შეიკრიბნენ, მათ ბათუმის ქუჩებში ისევ მოაწყვეს მსვლელოზა ტრანსპარანტებითა და შეძახილებით: „გაუმარჯოს საქართველოს!“, „აღიღებთ გმირებს!“, „მადლობა ყველაფრისათვის!“.

აჭარა დუბაის საერთაშორისო ბაზრებში მონაწილეობს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია არაბთა გაერთიანებულ სამეფოში მიმდინარე ტურისტულ გამოფენაში აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან ერთად მონაწილეობს. „TM Dubai“-ზე, ასევე, წარმოდგენილია 19 ტურისტული კომპანია და სასტუმრო. გამოფენის ფარგლებში საქართველოს სტენდთან სტუმრებს საშუალება აქვთ, გაეცნონ ქვეყნის ტურისტულ პროდუქტებს

აკომპანიებთან შეხვედრებს ესწრებოდა საქართველოს ელჩი არაბეთის გაერთიანებულ სამეფოში პაატა კალანდაძე და აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თინათინ ზოიძე. აჭარისა და, ზოგადად, საქართველოს მიმართ მაღალია ინტერესი არაბეთის გაერთიანებულ სამეფოში, რაზეც სტენდთან ვიზიტორთა და საქართველოში ტურისტების ჩამოყვანით დაინტერესებულ ტურისტულ კომპანიათა მზარდი რაოდენობა მეტყველებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დუბაის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენას 20 ათასზე მეტი ვიზიტორი ჰყავს. „TM Dubai“-ს მსოფლიოს 112 ქვეყნიდან



ის, სარეკლამო კომპანიების, ავიაკომპანიებისა და ტურიზმის სამსახურების წარმომადგენლებს, მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეხვედრები მიმდინარეობს ავიაკომპანიების Air Arabia-სა და Fly Dubai-ის წარმომადგენლებთან, რომლებმაც საუბრისას აღნიშნეს, რომ ზაფხულის ტურისტულ სეზონზე სამეფოში და ბათუმის მიმართულებით პირდაპირი ფრენები დაიწყება. ავი-

1500-ზე მეტი კომპანია ესწრება. არაბთა გაერთიანებული სამეფოში საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ბაზარს წარმოადგენს. სამეფოში მოგზაურები გამოირჩევიან მაღალი მხარჯველობითი უნარით, წლის განმავლობაში ხშირი მოგზაურობითა და განმეორებითი ვიზიტების რაოდენობით.

